საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-663

15/07/2019

ქ. თბილისი

შპს „კავკასუს მეტალ გრუპი-სიემჯიზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „ნიკა 2004“-ზე გადაცემის შესახებ

2019 წლის 14 ივნისს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართეს შპს „ნიკა-2004“-ისა და შპს „კავკასუს მეტალ გრუპი-სიემჯის“ დირექტორებმა. შპს „კავკასუს მეტალ გრუპი-სიემჯიმ“ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „ნიკა-2004“-ზე და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

სამინისტროს მიერ შპს „ნიკა 2004“-ის ფეროშენადნობების წარმოებაზე გაიცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (დასკვნა №45; 22.07.2010) და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №2-689; 16.08.2018. 2018 წლის 3 ოქტომბერს აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება კომპანიების ერთობლივი მომართვის საფუძველზე გადაეცა შპს „კავკასუს მეტალ გრუპი-სიემჯის“. როგორც წარმოდგენილ განცხადებაშია აღნიშნული, საიჯარო ხელშეკრულების ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით შპს „კავკასუს მეტალ გრუპი-სიემჯი“ გარემოსდაცვით გადაწყვეტილოებას ისევ გადასცემს შპს „ნიკა-2004“-ს.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „კავკასუს მეტალ გრუპი-სიემჯის“-ის ფეროშენადნობების წარმოებაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ

გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება უვადოდ გადაეცეს შპს „ნიკა-2004“-ს;

2. შპს „ნიკა-2004“-მა უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 16 აგვისტოს №2-689 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ნიკა 2004“-ს და შპს „კავკასუს მეტალ გრუპი-სიემჯის“;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნიკა 2004“-ისა და შპს „კავკასუს მეტალ გრუპი-სიემჯის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი